წლიური შემაჯამებელი ტესტი_1 4 კლ

მეყვავილეები ხუთ-ხუთი ვარდისგან თაიგულებს კრავენ. კვირა დღეს საყვავილეში სულ 38 ვარდი ჰქონდათ დარჩენილი. რამდენი ხუთვარდიანი თაიგულის შეკვრას შეძლებდნენ მეყვავილეები და რამდენი ვარდი მორჩებოდათ?

ა) 3 თაიგული და კიდევ 7 ვარდი.

ბ) 6 თაიგული და კიდევ 8 ვარდი.

გ) 7 თაიგული და კიდევ 3 ვარდი.

დ) 8 თაიგული და კიდევ 2 ვარდი.

აარჩიე **ყველა** ის წერტილი, რომლებიც **მხოლოდ წრეშია.**



ა) A, N, M

ბ) R, T

გ) P, K

დ) P, K, R, T

შეავსე ცარიელი უჯრები:



LIVEWORKSHEETS

დააკვირდი სურათს:



რამდენი სივრცითი ფიგურაა ისეთი, რომლის ყველა წახნაგი არის მრავალკუთხედი?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

მოსწავლეს აქვს 51 ლარი და გადაწყვიტა იყიდოს წიგნები. თითეული წიგნი 9 ლარი ღირს. სულ რამდენი წიგნის ყიდვას შეძლებს მოსწავლე ამ ფულით?

ა) 60 ბ) 42 გ) 6 დ) 5

თუ $480 : x = 30$, მაშინ $x =$

ა) $480 : 30$ ბ) $480 \cdot 30$ გ) $480 - 30$ დ) $480 + 30$

ყუთში ეყარა რამდენიმე ბურთულა. მას შემდეგ რაც მათი რაოდენობა ჯერ გააორმაგეს, შემდეგ კი 12-ით შეამცირეს, ყუთში არცერთი ბურთულა აღარ დარჩა. რამდენი ბურთულა იყო ყუთში თავდაპირველად?

ა) 5 ბ) 6 გ) 7 დ) 8

ნინომ თავისი ფანქრების მეოთხედი კატოს მისცა და მეოთხედი თავისთვის დაიტოვა, 8 ფანქარი კი ლადოს მისცა. რამდენი ფანქარი მისცა ნინომ კატოს?

ა) 4 ბ) 5 გ) 6 დ) 7

LIVEWORKSHEETS

მიშომ სამუშაოს შემდეგ ერთი საათით შეისვენა, მათ შორის საათის მეოთხედის განმავლობაში სამხარი მიირთვა, კიდევ ნახევარი საათი - ეძინა, ხოლო დარჩენილი დრო - ივარჯიშა. რა დროდაუთმო ვარჯიშს მიშომ? შემოხაზე პასუხი.

ა) 15 წთ ბ) 30 წთ გ) 45 წთ დ) 4 წთ

ლიამ მაგიდაზე დაალაგა სხვადასხვა ფიგურები



ა) ბ) გ) დ)

რომელიფიგურა არ არის პრიზმა?

შეადარე ფიგურები ერთმანეთს:



შემოხაზე ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

ა) ყველა ფიგურა პრიზმაა;

ბ) ზოგიერთი ფიგურა პრიზმაა;

გ) ყველა ფიგურა კონუსია;

დ) არცერთი ფიგურა არაა პრიზმა.

LIVEWORKSHEETS

მოცემულია კუბი:



რომელია ABNM და BCKN წახნაგების **საერთო** წიბო?

ა) BC ბ) AB გ) BN დ) CD

იცვლება და გამოდის სხვა რიცხვი.

შეავსე რიცხვების მანქანის ცხრილში გამოტოვებული უჯრები.

შესული რიცხვი	გამოსული რიცხვი
3	9
5	15
6	18
8	
	27

რამდენი მდგენისაგან შედგება გახსნილი ტეხილი, რომელსაც აქვს 4 წვერო?

ა) 2 ბ) 3 გ) 4 დ) 5

LIVEWORKSHEETS

ნინომ თავისი ფანქრების მეოთხედი კატოს მისცა და მეოთხედი თავისთვის დაიტოვა, 8 ფანქარი კი ლადოს მისცა. რამდენი ფანქარი მისცა ნინომ კატოს?

ა) 4 ბ) 5 გ) 6 დ) 7

დააკვირდი სურათს:



რომელი სამი წახნაგის საერთო წერტილია A წერტილი?

ა) ACPM, ACDB, AMNB ბ) CDPK, ACPM, DBNK გ) ACDB, ACPM, CDPK

მართკუთხედის პერიმეტრი უდრის **30 სმ-ს** , სიგანე **6 სმ-ია.** რამდენი სანტიმეტრია მართკუთხედის სიგრძე?

ა) 24 სმ ბ) 12 სმ გ) 9 სმ დ) 5 სმ

რომელი ნაშთიანი გაყოფაა სწორად შესრულებული ?

ა) 52 : 6 = 8 (ნაშთი 4) გ) 52 : 6 = 8 (ნაშთი 3)

ბ) 52 : 6 = 9 (ნაშთი 2) დ) 52 : 6 = 10 (ნაშთი 8)

LIVEWORKSHEETS

როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **9000**-ს, რომ მივიღოთ **3000**-ზე ნაკლები რიცხვი?

ა) 8000-ზე მეტი ბ) 12000-ზე ნაკლები

გ) 6000 -ზე ნაკლები დ) 6000-ზე მეტი

მოცემულია ორი წინადადება :

I. რიცხვის 2-ზე გაყოფისას ნაშთი ყოველთვის 1-ის ტოლია.

II. რიცხვის 2-ზე გაყოფისას ნაშთი შეიძლება იყოს 1-ის ტოლი.

ამ ორი წინადადებიდან რომელია სწორი?

ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) ორივე დ) არცერთი

საბავშვო ბაღის ეზოს მართკუთხედის ფორმა აქვს. ეზო დაყოფილია ოთხ ტოლ ნაწილად - როგორც ეს ამ ნახაზზე ჩანს:

სათამაშო მოედანი	ყვავილების ბაღი	სათამაშო მოედანი	ყვავილების ბაღი

საბავშვო ბაღის ეზოს რა ნაწილი უკავია სათამაშო მოედნებს ერთად?

ა) მეოთხედი ბ) ნახევარი გ) მესამედი დ) მთელი

რა თანხა ჰქონდა დემეტრეს, თუ მან 27 ლარად შეიძინა ალბომი, 12 ლარად - კალამი და კიდევ დარჩა 23 ლარი?

ა) 50 ლარი ბ)35 ლარი ბ) 39 ლარი დ)62 ლარი

LIVEWORKSHEETS



რომელი წვეროები არ არის მეზობელი წვეროები?

ა) A და D

ბ) M და B

გ) K და C

დ) C და B

დააკვირდი სურათს:



რამდენი წიბოს საერთო წერტილია C წერტილი?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

იანგარიშე ქვეშმიწერით: **8596 : 28**

პასუხი:

იანგარიშე ქვეშმიწერით: **12648 : 31**

პასუხი:

LIVEWORKSHEETS

მესამე ფიგურასთან რომელი ფიგურის მიდგმით მიიღება ხუთკუთხედი? შემოხაზე სწორი პასუხი.



ა) V ბ) II გ) IV დ) I

თუ ABCD კვადრატში A წერტილს შეაერთებ C წერტილთან, B წერტილს __ D წერტილთან, რამდენ სამკუთხედს მიიღებ სულ?



ა) 3 ბ) 5 გ) 7 დ) 8

მექოთნე ერთ საათში 2 ქოთანს აკეთებს, ერთი ფიალის გასაკეთებლად კი - მეოთხედი საათი სჭირდება. რამდენი წუთით მეტი დრო სჭირდება მექოთნეს ქოთნის დასამზადებლად, ვიდრე ფიალის?

ა) 13 წთ ბ) 15 წთ გ) 7 წთ დ) 8 წთ

სურათზე წარმოდგენილია გამჭირვალე მასალისაგან დამზადებული კუბი. მოსაზღვრე წახნაგების რამდენი წყვილი აქვს კუბს?



ა) 3

ბ) 8

გ) 12

LIVEWORKSHEETS

LIVEWORKSHEETS